

ერთი ტიპის კავშირებითი პირობითი
წინადადებისთვის ქართულში

იასუპირო კოჯიმა

ტოკიოს უცხო ენათა უნივერსიტეტი

რეზიუმე: თანამედროვე ქართულში შემასმენელი ზმნა ზოგჯერ კავშირებით კილოში დგას პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, რომელსაც ახლავს კავშირი თუ. ამგვარი კონსტრუქციის გამოყენება სემანტიკური და პრაგმატიკული ფაქტორებით არის განპირობებული. იგი შესაძლებელია ორ შემთხვევაში: (ა) როცა მოსაუბრე პირი აცხადებს, რომ პირობითი წინადადების შინაარსი მართალი არ არის; (ბ) როცა მთავარი წინადადება მეორე პირის მიმართ ბრძანებას გამოხატავს.

საკვანძო სიტყვები: პირობითი წინადადება, კავშირი, კავშირებითი კილო, ბრძანება

1. ქართულში ორი კავშირია, რომ და თუ, რომლებიც პირობით დამოკიდებულ წინადადებას ქმნიან. რომ-იან პირობით წინადადებაში შემასმენელი ზმნა კავშირებით კილოში დგას. კავშირებითის მაგივრად თხრობით კილოში რომ ჩავსვათ, პირობითის ნაცვლად დროის დამოკიდებულ წინადადებას მივიღებთ, როგორც (1)-ში.

(1) ჭიშკართან რომ მივიდა ისევ შემობრუნდა. (დუმბაძე) [რომ + თხრობითი]

(2) ეს რომ ჩემი სახლი იყოს, არავის შემოვუშვებდი. (ჭილაძე)

[რომ + კავშირებითი]

თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში კი ზმნა შეიძლება იყოს როგორც თხრობით კილოში, ისე კავშირებითში.

(3) თუ არ გამოხვალ, მილიციას მოვიყვან. (ჩოხელი) [თუ + თხრობითი]

(4) ღვინო თუ დაგჭირდეს არ მომერიდო! (დუმბაძე) [თუ + კავშირებითი]

ცხრილი 1 უჩვენებს კავშირისა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ზმნის კილოს შეხამებას და დამოკიდებული წინადადების ფუნქციას.

ცხრილი 1. კავშირი, ზმნის კილო და დამოკიდებული წინადადების ფუნქცია:

		კავშირი	
		რომ	თუ
დამოკიდებული წინადადების ზმნის კილო	თხრობითი	დრო	პირობა
	კავშირებითი	პირობა	პირობა

2. საკითხი ისმის: ამ სამი ტიპის პირობით დამოკიდებულ წინადადებას შორის რა განსხვავებაა ფუნქციური თვალსაზრისით. ფოგტი [4, გვ. 209-210] აღნიშნავს, რომ რომს მოჰყავს ჰიპოთეტიკური პროპოზიცია, ხოლო თუ თხრობითი კილოს ზმნასთან ერთად გადმოსცემს მთავარ წინადადებაში გამოხატული სიტუაციის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებს. მაგრამ, როცა თუს კავშირებითი კილოს ზმნა ახლავს, დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობა უახლოვდება რომიან წინადადებისას.

ჰიუიტი [7, გვ. 73], რეალური და ირეალური პირობითი წინადადებების გარჩევაზე დაყრდნობით ("a general division between 'vivid' (otherwise known as 'real', 'immediate' or 'open') and 'vague' (otherwise known as 'unreal', 'remote' or 'closed') conditionals"), აღნიშნავს, რომ ზოგადად თუ რეალურ პირობით წინადადებას ქმნის, რომ კი ირეალურს. მიუხედავად იმისა, რომ კავშირებითი კილო ირეალური პირობითი წინადადებისთვისაა დამახასიათებელი, თუსა და კავშირებითი კილოს შემასმენლის შეხამება სემანტიკურად უფრო ახლოსაა რეალურ პირობითთან [7, გვ. 79]. იგი წერს, რომ როცა თუ კავშირია, კავშირებითი კილოს ზმნას შეიძლება შეენაცვლოს შესაბამისი თხრობითი კილოს ზმნა თითქმის ყოველგვარი სემანტიკური სხვაობის გარეშე, ხოლო კავშირი თუს რომით შეცვლა აუცილებლად გამოიწვევს აშკარა მინაარსობრივ განსხვავებას.

მამასადამე, პრობლემაა იმ კონსტრუქციის ფუნქციის ანალიზი, რომელშიც კავშირ თუსთან შემასმენელი ზმნა კავშირებით კილოში დგას. როგორც ჰიუიტი წერს, მართლაც,

თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს ზმნის შეცვლა თხრობითი კილოს შესაბამისი ფორმით ყოველთვის შესაძლებელია შესამჩნევი სემანტიკური სხვაობის გარეშე. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ, პირიქით, კავშირებითი კილოს ზმნის შეცვლა თხრობითი კილოს ფორმით ყოველთვის არ არის შესაძლებელი. რომე გვექონდეს შესატყვისი კავშირებითი კილოს ფორმა, თხრობითი კილოს მაგივრად კავშირებითი კილოს ზმნა რომ გამოვიყენოთ, ხშირად ვღებულობთ არაბუნებრივ ან მიუღებელ წინადადებას. თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს ზმნის გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იდგეს შემასმენელი ზმნა კავშირებით კილოში თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

3. სიხშირის თვალსაზრისით, თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი ზმნა გაცილებით უფრო ხშირად თხრობით კილოშია, ვიდრე კავშირებითში. მიძიგური [5, გვ. 372; 6, გვ. 372] წერს, რომ სალიტერატურო ქართულის ნორმის მიხედვით კავშირ თუ-სთან შემასმენელი ზმნა თხრობით კილოში უნდა იყოს და არა კავშირებით კილოში. მაგრამ თუ-სთან კავშირებითი კილოს ზმნის შეხამების შემთხვევებიც, თუმცა იშვიათია, მაგრამ უთუოდ დასტურდება როგორც სალაპარაკო ენაში, ისე ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ამას ადასტურებს შემდეგი მაგალითები.

- (5) აგი უღვაში გამპარსე, ასე თუ არ ქნას! (დუმბაძე)
- (6) ეს თუ კამეჩის კვერცხი არ იყოს, თავს მოვიჭრი. (ჩოხელი)
- (7) მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! (ვაჟა)
- (8) სვეტიცხოველის დამქცევი ვიყო, თუ გიდალატო (ლეონიძე)
- (9) თუ ვალენტინა ივანოვნამ გამომხედოს, მანიშნე. (ჩრეულიშვილი)
- (10) თუ დალევა მოგიჩდეს, სხვაგან ნულარ წახვალ, ისევ აქ დალიეო.
(ინანიშვილი)
- (11) თუ შეგხვდეს სადმე, გაჰყევი და მისი ვინაობა შემატყობინე.
(ჯავახიშვილი)
- (12) თუ მოგენატროთ, წერილი გამომიგზავნეთ სამტრედიისში.
(დუმბაძე)

4. კავშირებითი კილოს ფორმებს შორის, თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება მეორე კავშირებითი, აწმყოს კავშირებითი და მესამე კავშირებითი. თუ-სთან მეორე

კავშირებითის გამოყენების შესახებ, ჰიუიტი [7, გვ. 89] აღნიშნავს, რომ არავითარი სემანტიკური განსხვავება არაა თუ-სთან ზმნა მეორე კავშირებითშია თუ თხრობითი კილოს შესაბამის ფორმაში (ანუ წყვეტილში). მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი, რომელშიც თუ-ს ეხამება მეორე კავშირებითი და აგრეთვე წყვეტილიც ერთსა და იმავე კონტექსტში.

(13) თუ ერთს ჩვენგანს ბიჭი *ჯეოლოს* და მეორეს — ქალი, მაშინ ქალი ვაუს შევრთოთ: ხოლო თუ ქალები *გვეჯეოლოს* ორივეს, ორივენი დებსავით უნდა გავზარდოთ და ძმებს შევრთოთ; თუ ორივეს ვაჟები *გვეჯეოლა*, ძმები უნდა იყვნენ ერთგულები ... [7, გვ. 80; 2, გვ. 113] (ხაზგასმა ჩემია)

ქართული ენის მატარებლები, რობლებსაც ამ მაგალითის შესახებ ვკითხე, აღნიშნავენ, რომ აქ მეორე კავშირებითის ფორმების (*ეჯეოლოს*, *გვეჯეოლოს*) გამოყენება მოძველებულად ჟღერს. ჰიუიტი (1987: 80) წერს, რომ მეორე კავშირებითის საშუალებით ამგვარი მომავალი პირობების გამოხატვა შეიძლება ძველი ქართულის გადმონაშთი იყოს. მაგრამ ისიც არ არის სწორი, თითქოს ყოველი მაგალითი, რომელშიც თუ-სთან ერთად მეორე კავშირებითი მომავალ პირობებს გამოხატავს, ერთნაირად განიხილებოდეს. ზემომოყვანილი სხვა მაგალითები (5)-(12), განსხვავებით (13)-ისაგან, მოძველებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ასე რომ, (13)-ში მეორე კავშირებითის ფორმების ხმარება, როგორც ერთგვარი არქაიზმი, შეიძლება გამონაკლისად ჩავთვალოთ და მომდევნო დისკუსიაში მხედველობაში არ მივიღებთ.

5. რაც შეეხება თუ-სთან აწმყოს კავშირებითისა და მესამე კავშირებითის გამოყენებას, ჰიუიტი [7, გვ. 82] აღნიშნავს, რომ ეს ფორმები გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე პირი აცხადებს მის აბსოლუტურ დარწმუნებულობას იმაში, რომ მთავარი წინადადების შინაარსი სიმართლეს არ ასახავს, როგორც მაგალითებში (14) და (15). ასეთ შემთხვევაში, მთავარი წინადადება ჩვეულებრივ შეიცავს ბრძანებითს ან მეორე კავშირებითს ნატვრითის ფუნქციით [7, გვ. 82].

(14) ღმერთი გამიწყრეს, თუ *გებუმრებოდე*.

([7, გვ. 81] კლდიაშვილი; ხაზი ჩემია)

(15) შერკვენებული ვიყვე, თუ *ვტყუოდე* თუ როდისმე *ჰყოლოდეს!*

([7, გვ. 82] კლდიაშვილი; ხაზგასმა ჩემია.)

დამტკიცებით იმის თქმა, რომ დამოკიდებული წინადადების შინაარსი მართალი არ არის, ნამდვილად ერთ-ერთი ფუნქციაა თუ-იანი პირობითი წინადადებისა, რომლის შემასმენელიც კავშირებით კილოზია. ეს ფუნქცია მარტო აწმყოს კავშირებითისა და მესამე კავშირებითისთვის არ არის დამახასიათებელი, არამედ დასტურდება ყველა სამ კავშირებითი კილოს მწკრივთან, რომელიც შესაძლებელია თუ-ს ახლდეს. ზემომოყვანილ მაგალითებში, (5)-(8), მეორე კავშირებითი სწორედ ამ ფუნქციისთვის არის გამოყენებული. კავშირებითი კილოს შემასმენლის შემცველი თუ-იანი პირობითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება მივიჩნიოთ სპეციალურ კონსტრუქციად, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დარწმუნებულობას იმაში, რომ დამოკიდებული წინადადების შინაარსი მართალი არ არის.

6. დამოუკიდებლად ამ ფუნქციისაგან, თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი შეიძლება იყოს კავშირებით კილოში მაშინ, როცა მთავარ წინადადებაში იგულისხმება მეორე პირის მიმართ ბრძანება, როგორც გვაქვს მაგალითებში (4) და (9)-(12). დამოკიდებული წინადადება აღწერს არაწარსულ სიტუაციას და შესაბამისად შემასმენელი ზმნა შეიძლება იყოს მეორე კავშირებითი ან აწმყოს კავშირებითში. იხილეთ შემდეგი მაგალითები (16) და (17). მესამე კავშირებითი ამ ფუნქციით არ იხმარება.

(16) ხურდა თუ გჯონდეს მომეცი.

(17) თუ ვინმე სტუდენტს იცნობდვ გამაცანი.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მაგალითებში (ე. ი. (4), (9)-(12), (16) და (17)) საერთოდ არ გამოიხატება მოსაუბრის პოზიცია დამოკიდებული წინადადების შინაარსის სიმართლის შესახებ. მოსაუბრე ნეიტრალურია იმის მიმართ, თუ რამდენად რეალურია დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული სიტუაცია. ამ ტიპის მაგალითები ამით მკვეთრად განირჩევა იმ მაგალითებისაგან (ე. ი. (5)-(8), (14) და (15)), რომლებშიც მოსაუბრის ნეგატიური დამოკიდებულებაა გამოხატული.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ აუცილებელი არ არის, რომ მთავარი წინადადება ფორმალურად ბრძანებითს წარმოადგენდეს. შემდეგ მაგალითებში, მთავარი წინადადების

შემასმენელი ზმნა თხრობითის ფორმაშია, მაგრამ შინაარსობრივად იგულისხმება მეორე პირის მიმართ ბრძანება¹ (ე. ი. „ის პური აიღე“ (18)-ში, „დამიძახე“ ან „ასე უთხარი“ (19)-ში).

(18) *თუ მოგწოდეს*, მაგიდაზე პური დევს.

(19) *თუ ვინმემ დარეკოს*, ოთახში ვარ.

7. ამ ორი ფუნქციის გარდა სხვა ფუნქციით თუ-სა და კავშირებითი კილოს შემასმენლის შეხამება, როგორც წესი, არ გვხვდება თანამედროვე ქართულში. მარტივი მაგალითისთვის ავიღოთ (20). როცა თუ-ს კავშირებითი კილოს შემასმენელი ახლავს, მთავარი წინადადება შეიძლება გადმოსცემდეს მეორე პირის მიმართ ბრძანებას, დადებითს (a) ან უარყოფითს (b). მაგრამ არ შეიძლება იყოს ჰორტატივი (ანუ მოწოდების გამოხატვა სუბიექტური პირით პირველი პირის მრავლობითში) (c), არც ბრძანება მესამე პირის მიმართ (d), არც თხრობითი წინადადება ბრძანებითი შინაარსის გარეშე (e).

(20) *თუ იწვიოს ...*

(a) წადი

(b) არ წახვიდე.

(c) ?? (არ) წავიდე.

(d) ?? (არ) წავიდეს.

(e) ?? დასველდები.

(20)-ში, კავშირებითის *იწვიოს* ნაცვლად თუ ჩავსვამთ თხრობითი კილოს ფორმას (ანუ *იწვიმებს* ან *იწვიმა*), ყოველი წინადადება (a)-(e) ბუნებრივი გახდება.

8. დასკვნები: თუ-იან პირობით დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს კავშირებითი კილოს შემასმენელი შემდეგ ორ შემთხვევაში:

(i) როცა მოსაუბრე აცხადებს, რომ დამოკიდებული წინადადების შინაარსი მართალი არ არის;

(ii) როცა მთავარი წინადადება გულისხმობს მეორე პირის მიმართ ბრძანებას.

¹ ეს მაგალითები წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ "speech-act conditional" [3; 1] დამოკიდებულ წინადადება განაპირობებს speech act-ს და არა მთავარ წინადადებაში გადმოცემული სიტუაციის განხორციელებას.

ამგვარი სემანტიკური და პრაგმატიკული პირობები ეხება მარტო ამ ტიპის პირობითი წინადადების კონსტრუქციას და არა რობიან წინადადებას და არც თუიან პირობით წინადადებას, რომელშიც შემასმენელი თხრობით კილოში დგას. რატომ და როგორ იჩენს თავს ეს განსაკუთრებული ფაქტორები, ერთ მხრივ კავშირის შერჩევისა და მეორე მხრივ შემასმენელი ზმნის კილოს შერჩევის გამო — კიდევ გასარკვევია ქართული ენის პირობითი წინადადებების მთლიანი სისტემის ანალიზის საშუალებით.

წყაროები:

ჩოხელი, გოდერძი, „თევზის წერილი“, „უცნაური კვერცხი“
ჭილაძე, ოთარ, „რკინის თეატრი“
დუმბაძე, ნოდარ, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
ინანიშვილი, რევაზ, „ფიროსმანი“
ჯავახიშვილი, მიხეილ, „ოქროს კბილი“
კლდიაშვილი, დავით, „სამანიშვილის დედინაცვალი“
ლეონიძე, გიორგი, „ღვინჯუა“
რჩელიშვილი, გურამ, „მოხუცებული“
ვაჟა ფშაველა, „სათაგური“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dancygier, Barbara, *Conditionals and Prediction: Time, knowledge, and causation in conditional constructions*, Cambridge University Press, Cambridge, 1988.
2. სიხარულიძე, ქ., *ქართული ხალხური სიტყვიერება*, თსუ გამომცემლობა, თბილისი. 1970.
3. Sweetser, Eve, *From Etymology to Pragmatics: Metaphorical and cultural aspects of semantic structure*. Cambridge University Press, Cambridge, 1990.
4. Vogt, Hans, *Grammaire de la langue géorgienne*. Universitetsforlaget, Oslo. 1971
5. ბიძიგური, შ., *კავშირები ქართულ ენაში*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.
6. ბიძიგური, შ., *რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში*, მეცნიერება, თბილისი, 1989.
7. Hewitt, Brian G., *The Typology of Subordination in Georgian and Abkhaz*, Mouton de Gruyter, Berlin, 1987.